საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3662
18/05/2023

3662-21-2-202305180943

შპს „ლაიონ ტრანსს“
მის: საქართველო, ქ. ზესტაფონი, ფიროსმანის II შესახვევი, №8
ელ.ფოსტა: info@lion-trans.com

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3126 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთში ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის თარიღი;
- განცხადების თანახმად, შპს „ლაიონ ტრანსის“ სასაწყობე ტერიტორიის სიახლოვეს წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტები (სასაწყობე მეურნეობები), თეორიულად შესაძლებელია დავუშვათ, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს წარმოდგენილ ტერიტორიებზე ასევე არის განთავსებული ნავთობპროდუქტების რეზერვუარ(ებ)ი“. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული მსგავსი პროფილის ობიექტებისა და შესაბამისად, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ლაიონ ტრანსის“ ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია კომპანიის კუთვნილ, საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე და განკუთვნილია კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების - კონტეინერის დამტვირთველისთვის და ჩანგლიანი დამტვირთველის დიზელის საწვავით გამართვისთვის. დოკუმენტის თანახმად, კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტვირთების, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული ობიექტის მოწყობის თარიღისა და საქმიანობის (სასაწყობე ტერიტორიაზე არსებული ობიექტები, ტვირთების სახეობები და სხვა) შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო